ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N11

20 ივლისი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი; ვ. ძნელაძე; ნ. ვაჩეიშვილი; გ. გოცირიძე; ე. კუხიანიძე; ბ. დავითულიანი; ა. ლაშხი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2. ჯაბა სიხარულიძე - ა(ა)იპ მედიათეკების გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

   მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს, წარმოადგინა დღის წესრიგი და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით მიმდინარე სხდომაზე განიხილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. როგორც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, თბილისის მუნიციპალიტეტმა 2018 წლის აპრილში დააფუძნა მულტიფუქნციური ბიბლიოთეკების გაერთიანება და სწორედ, აღნიშნული პროცესის ნაწილია თბილისის მედიათეკების გაერთიანების ლიკვიდაცია. მანვე აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომას ესწრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, ქალბატონი მაკა ნასრაშვილი და ასევე, ა(ა)იპ მედიათეკების გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ბატონი ჯაბა სიხარულიძე. კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ქალბატონ მაკა ნასრაშვილს დეტალურად წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველ საკითხთან მიმართებით და ასევე, თბილისის მერიის პოზიცია.

მოისმინეს:

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის განმარტებით, თბილისის მერიამ დაიწყო ბიბლიოთეკების რეფორმა და სწორედ, აღნიშნული პროცესის ფარგლებში ხდება მედიათეკების ლიკვიდაცია. მისი თქმით, ლიკვიდაციის პროცედურის დაწყებამდე თბილისის მერიამ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებას უკვე გადასცა უძრავი და მოძრავი ქონება. პრაქტიკულად თბილისში არსებული სამივე მედიათეკის ქონება ხსენებული გაერთიანების ბალანსზე ირიცხება. ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა მაკამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელფასო ფონდის, საქონელის, მომსახურებისა და სხვა ხარჯების ნარჩენი ნაშთი შეადგენს 253 000 ლარს. თბილისის საკრებულოს შემდეგ სხდომაზე წარედგინება ამ თანხის თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების საბიუჯეტო მუხლში გადატანის თხოვნა. ქალბატონი მაკას განმარტებით, მედიათეკებში დასაქმებული 30 პირს გასულ კვირას თბილისის

მერის მოადგილე, ქალბატონი სოფიო ხუნწარია შეხვდა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ ყველა მათგანი გადავა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში და გაუფორმდებათ შრომითი ხელშეკრულებები.

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის ბიბლიოთეკების მოდერნიზების ნაწილი და მედიათეკების ლიკვიდაცია მოიაზრებს მედიათეკების საქმიანობის გაგრძელებას მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ქოლგის ქვეშ. მისი თქმით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიისთვის მნიშვნელოვანია მედიათეკებში დასაქმებული კადრების სტაბილურობა და შედეგად, მისასალმებელია, რომ თანამშრომლები გადადიან მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ შტატები მთლიანად გადადის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის გაერთიანებაში ხელმძღვანელის გარდა, ვინაიდან აღნიშნულ პოზიციაზე გამოცხადებული იყოს კონკურსი, რის საფუძველზეც გამოვლინდება შერჩეული კანდიდატი.

კომისიის წევრის, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, განსახილველ საკითხს უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი, რომელშიც განმარტებული იქნებოდა საკითხის მიზნები და სავარაუდო შედეგები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის სამდივნოს უფროსს, ბატონ ირაკლი მხეიძეს, თუ დაურიგდათ კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის განმარტებითი ბარათი, რაზეც ბატონმა ირაკლიმ განმარტა, რომ თბილისის საკრებულოში თბილისის მერიიდან წარმოდგენილ მასალას თან არ ახლავს განმარტებითი ბარათი. აღნიშნული ერთვოდა მხოლოდ თბილისის მთავრობისათვის წარდგენილ ამავე მასალას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ქალბატონ მაკა ნასრაშვილს, რომ საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვამდე მიზანშეწონილი, იქნებოდა განმარტებითი ბარათის გამოგზავნა, რასაც ქალბატონი მაკა დაეთანხმა.

კომისიის წევრმა, ბატონმა ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტზე სიტყვიერი განმარტება რომელიც მერიის წარმომადგენელმა გააკეთა სხდომაზე, ამომწურავი და მისთვის მისაღები იყო, რასაც დაეთანხმა კომისიის წევრი, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე. მისი თქმით, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა ამომწურავად განმარტა წარმოდგენილი პროექტის შინაარსი და მიზნები. ამავე მოსაზრებას დაეთანხმა კომისიის წევრი, ბატონი ერეკლე კუხიანიძე, რომელმაც აგრეთვე, აღნიშნა, რომ ქალბატონი მაკას სიტყვიერი განმარტება ჩაიწერება კომისიის ოქმში.

კომისიის თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ ა(ა)იპ მედიათეკების გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის განმარტებითი ბარათი წარმოდგენილი იქნება საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, მაკა ნასრაშვილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ბექა დავითულიანმა, ვლადიმერ ძნელაძემ, ერეკლე კუხიანიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ:

მომხრე _____	6
წინააღმდე _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)

განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ დადებითად შეფასდეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და გადაეცეს თბილისის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი